ბანკის ვებგვერდზე https://tbcbank.ge/ka/agreements განთავსებული "პოს ტერმინალით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების ძირითადი პირობების" 1.3. პუნქტის შესაბამისად, სს "თიბისი ბანკი" გთავაზობთ "პოს ტერმინალით მომსახურების შესახებ ხელშეკრულებაში (შემდგომში - "ხელშეკრულება") შემდეგი ცვლილებების / დამატებების შეტანას:

1. <u>შეიცვალოს საერთო დებულებების 1.1. პუნქტით განსაზღვრული „Digital Wallet"- ის განმარტება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:</u>

   „Digital Wallet - პროგრამულ უზრუნველყოფაზე დაფუძნებული სისტემა, რომელიც ინახავს კლიენტის ბარათთან ასოცირებულ თოქენს და შესაძლებელს ხდის ანგარიშსწორება განხორციელდეს ელექტრონული კომერციით და/ან პოს ტერმინალით. Digital Wallet-ით განხორციელებულ ტრანზაქციებზე ვრცელდება ამ ხელშეკრულებით საბარათე ტრანზაქციებისთვის განსაზღვრული პირობები. ამასთან, ბანკი უფლებამოსილია დაადგინოს საბარათე ტრანზაქციებისთვის განსაზღვრული პირობებისგან განსხვავებული წესი Digital Wallet-ით განხორციელებული ტრანზაქციების საკომისიოების შემთხვევაში. თუ რომელიმე შეთანხმებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ბარათით გადახდის შემთხვევაში დადგენილი ტარიფები, არ ვრცელდება Digital Wallet-ით (მეგობარი)/სხვა ბანკების ბარათებით ინიცირებულ გადახდებზე."

2. <u>ხელშეკრულებას დაემატოს 2.1.2.26 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:</u>

   „2.1.2.26 ბანკი უფლებამოსილია, ცალმხრივად, თავისი შეხედულებისამებრ, ნებისმიერ დროს, მერჩანტის წინასწარი თანხმობის გარეშე, ბანკის შიდა პოლიტიკების, პროცედურებისა და სტანდარტების შესაბამისად, განსაზღვროს, შეცვალოს ან/და გააუქმოს პოს ტერმინალზე მერჩანტის თანხობრივი ან/და რაოდენობრივი ტრანზაქციული ლიმიტები. აღნიშნული ლიმიტები წარმოადგენს ბანკის შიდა ოპერაციულ ლიმიტებს, რომელთა შესახებაც მომხმარებელს წინასწარ არ ეცნობება. ტრანზაქციის ავტორიზაციის შეფერხების შემთხვევაში, მერჩანტი უნდა დაუკავშირდეს ბანკს."

3. <u>შეიცვალოს ხელშეკრულების 2.5 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:</u>

   „2.5 იმ შემთხვევაში, თუ მხარეთა შორის არ არის/იყო განსაზღვრული Digital Wallet-ით პარტნიორი (მეგობარი)/სხვა ბანკების ბარათებით განხორციელებული ტრანზაქციის საკომისიო, მხარეები თანხმდებიან, რომ აღნიშნული შეადგენს სხვა (არაპარტნიორი) ქართული ბანკების ბარათებისთვის დადგენილ საკომისიოს ოდენობას."

4. **წინამდებარე დოკუმენტის 1-3 პუნქტებით განსაზღვრული ცვლილებები ძალაში შედის ამ დოკუმენტის ბანკის ვებგვერდზე განთავსებიდან 1 (ერთ) კალენდარულ თვეში.**